პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 183 (5473)

14 სექტემბერი, კვირა.

1975 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საქართველოს პროფსაბჭოში

• •

ანგარიშგება-არჩევნები კოლექტივებში

ამას წინათ საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება საამქროების, განყოფილებების, ფაკულტეტების, საწარმოების, დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლების ფიზკულტურის კოლექტივების საბჭოების ანგარიშგება-არჩევნების ჩატარების შესახებ (ღონისძიება უკვე დაიწყო და მიმდინარე თვეში უნდა დამთავრდეს).

ამასთან დაკავშირებით საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა სპორტსაზოგადოებების ცენტრალურ, რესპუბლიკურ, საოლქო, საქალაქო და რაიონულ საბჭოებს, ფიზკულტურის კოლექტივებს, სპორტკლუბებს დაავალა საანგარიშო-საარჩევნო კამპანია ფართოდ გამოიყენონ ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდისთვის, სახალხო მეურნეობის განვითარების წლევანდელი გეგმების შესასრულებლად ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა დარაზმვისთვის, სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისთვის, უზრუნველყონ საანგარიშო-საარჩევნო კრებების მაღალ ორგანიზაციულ დონეზე ჩატარება, შექმნან ყველა პირობა საანგარიშო მოხსენებების საქმიანი განხილვის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლის, პრაქტიკულ წინადადებათა წამოყენებისთვის, რაც ხელს შეუწყობს მშრომელთა და მოსწავლეთა შორის ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომ განვითარებას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფიზკულტურული აქტივის სწორად შერჩევასა და განაწილებას. მათს არჩევას საამქროების, განყოფილებების, ფაკულტეტების, საწარმოების, დაწესებულებების, სასწავლებლების ფიზკულტურული კოლექტივების საბჭოების შემადგენლობაში. საანგარიშო-საარჩევნო კრებების ჩატარების დროს განუხრელად უნდა იქნეს დაცული პროფკავშირული სპორტსაზოგადოებების საბჭოების წესდებები და ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნების ინსტრუქციები.

სპორტსაზოგადოებათა საბჭოებს, სპორტკლუბების, ფიზკულტურის კოლექტივების ხელმძღვანელებს დაევალათ სათანადოდ წარმართონ საბჭოების შემადგენლობაში არჩეული ფიზკულტურული აქტივის სწავლება, ალმო-

მსოფლიო ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში

ორი განზომილება

მინსკი, 12 სექტემბერი. კლასიკურ ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონატის პრეს-ცენტრი ყოველი სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ სახელდახელო პრეს-კონფერენციას აწყობს რომელიმე ცნობილ სპეციალისტთან. ასეთი იმპროვიზებული შეხვედრების პირველი „მსხვერპლი" იყო სსრ კავშირის ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი, მსოფლიოს ოთხგზისა და მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი რ. რურუა. ჟურნალისტებმა მას სიტყვასიტყვით დააყარეს შეკითხვები და რურუაც დიდი გაჭირვებით იგერიებდა მათ.

— საბჭოთა ნაკრები საუკეთესოა ამ ჩემპიონატში, — თქვა მან, — მაგრამ თქვენ უფრო სენსაციები გაინტერესებთ. გეტყვით პირდაპირ: ყველაზე დიდი მოულოდნელობა იყო ბულგარელი კიროვის მარცხი. მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონმა უკვე შეწყვიტა ასპარეზობა. ეს დასანანი ფაქტია, მაგრამ ამავე დროს, იმის მაჩვენებელიც, რომ ახალგაზრდებთან ხუმრობა არ შეიძლება. კიროვის მარცხმა ერთგვარი დაბნეულობა შეიტანა ბულგარელთა ბანაკში, მაგრამ ახლა ისინი გონს მოვიდნენ და ვფიქრობთ, საბჭოთა გუნდს ღირსეულ მეტოქეობას მაინც გაუწევენ.

შემდეგ რურუამ ხაზი გაუსვა ირანისა და თურქეთის გუნდების შესაძლებლობებს და თქვა, რომ ამ ქვეყნებში საკმაოდ ხანგრძლივი გამოდგა კრიზისი.

— ეს მით უფრო გასაკვირია, რომ კლასიკური ჭიდაობა სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება მსოფლიოში. ახალმა წესებმა ჩვენი ჭიდაობა სანახაობრივად საინტერესო გახადა.

რა შეიძლება ითქვას ჩემპიონატის პირველ სამუშაო დღეზე? ჩატარდა 71 შეხვედრა, აქედან ძალიან ცოტა იყო უინტერესო. ახალმა წესებმა, რომელთა თანახმადაც ფრე გაუქმებულია, ახლებურად განაწყო ათლეტები ყოველი ბრძოლისთვის, ყოველი შეხვედრისთვის.

რა თქმა უნდა, მსოფლიო ჩემპიონატის მთავარი დანიშნულებაა გამოავლინოს უძლიერესი ყველა წონაში, მაგრამ ტურნირის ორგანიზატორებმა სხვა მხარეც არ დაივიწყეს. მინსკის სარბიელი ერთმანეთს აახლოებს სხვადასხვა ეროვნებისა და შეხედულების ადამიანებს. ამიტომაც დარბაზში ხშირად ნახავთ გულახდილად მომუსაიფე მეტოქეებს. მაგალითად, უკვე გამონახეს საერთო ენა ავსტრიელმა ბუხბალყასხმა ა. ლეგპიუტმა, შვედმა მხატვარმა ბ. ლინდჰოლმმა და პოლონელმა სტუდენტმა დ. ცვიკოვსკიმ...

გუშინ ჩვენ გადავხედეთ მონაწილეთა პირად საქმეებს და ერთი საინტერესო ფაქტი აღმოვაჩინეთ. მსოფლიო ჩემპიონატის ყველაზე ხნიერი მონაწილე თურმე ბერძენი ს. იოანიდისი ყოფილა. იგი 42 წლისაა. აი, სწორედ ამ მოჭიდავეს მოუხდა ბრძოლა ოლიმპიური თამაშების ჩემპიონთან შ. ხისამუტდინოვთან (68 კგ), რომელიც ტრავმის გამო მთელი წლის მანძილზე არ ჩანდა სარბიელზე. მაყურებელი ტაშით შეხვდა ჩემპიონის დაბრუნებას, მაგრამ აპლოდისმენტებმა ერთი-ორად იმატა, როცა შეხვედრის მსაჯმა გამარჯვების ნიშნად ხელი აუწია ჩემპიონს.

ს. იოანიდისი ამ მარცხს ვაჟკაცურად შეხვდა:

— მართალია, დავმარცხდი, მაგრამ თავს იმით ვინუგეშებ, რომ ჩემი მძლეველი ოლიმპიური ჩემპიონია. იოანიდისი საკმაოდ გამოცდილი და მრავალმხრივი სპორტსმენია. იგი ბევრჯერ იყო თავისი ქვეყნის ჩემპიონი ჭიდაობაში და... წყალქვეშ ცურვაში.

გულმოდგინედ აკვირდება ორთაბრძოლებს პოლონეთის ნაკრების მწვრთნელი ი. ტრაცევსკი. მას მუდამ თან დაჰყვება უბის წიგნაკებით შეიარაღებული მთელი ამალა. პოლონელი სპეციალისტები ინიშნავენ ყველაფერს, რაც მათს მოჭიდავეებსა და... მეტოქეებს ეხება. ტრაცევსკი არ მალავს, რომ მისი მთავარი მიზანია მონრეალის ოლიმპიადისთვის ღირსეულ კანდიდატთა შერჩევა.

პოლონელ მოჭიდავეებს სპეციალისტები ფავორიტებად მიიჩნევენ. ეს აზრი საფუძველს არაა მოკლებული, თუმცა პოლონელებს მაინც და მაინც დიდი ტრადიცია არა აქვთ ჭიდაობაში. მთელი 70 წლის მანძილზე ამ ქვეყანას ჰყავდა ერთადერთი მსოფლიო ჩემპიონი ვ. პიტლიანსკი, ბოლო ხანებში კი ისინი ერთობ მომრავლდნენ. ესენი არიან, პირველ ყოვლისა, ძმები იუზეფ და კაზიმეჟ ლიპენები, რომლებმაც 1973 წელს თეირანის მსოფლიო ჩემპიონატში ოქროს მედლები მოიპოვეს. ახლა პოლონეთის გუნდში მათს გარდა გამოდიან სახელმოხვეჭილი ათლეტები ა. სუპრონი, ჩ. კვეცინსკი, ზ. ჟედეიცკი და სხვ.

ორი დღის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატში შეთხელდა ფავორიტთა რიგები. შესამჩნევი დანაკლისი განიცადეს ბულგარეთის, პოლონეთის, რუმინეთისა და უნგრეთის გუნდებმა. უდანაკარგოდ ასპარეზობს მხოლოდ სსრ კავშირის ნაკრები. საბჭოთა გუნდში მარცხი იწვნია მხოლოდ მძიმეწონოსანმა ა. კოლჩინსკიმ. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს. საბჭოთა ნაკრების ყველაზე ახალგაზრდა წევრმა, 20 წლის ათლეტმა გამარჯვება დაუთმო მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონს ა. ტომოვს (ბულგარეთი).

სამაგიეროდ, მორიგი შეხვედრები მოიგეს და ისიც წმინდად გ. ზუბკოვმა (5 წუთში დაამარცხა ამერიკელი ჯ. კენკსორი), ვ. კონსტანტინოვმა, ფ. მუსტაფინმა, ნ. დავიდიანმა, შ. ხისამუტდინოვმა, ა. ზიკოვმა, ა. ნაზარენკომ და ნ. ბალბოშინმა.

ნ. გორბუნი.
(ჩვენი კორ.).

აქ უყვართ ტანვარჯიში

ეს ნორჩები ექვს-შვიდი წლისანი არიან. დიდი და ლამაზი გზა უდევთ წინ — წარმატებების, გამარჯვებების გზა. მხოლოდ 1975 წლის იანვრიდან ვარჯიშობენ პატარები: მათს აღმზრდელებს, მწვრთნელებს რ. სარვაზიანს, ნ. ხერხეულიძესა და ე. ხუბულავას კი მაინც არ უჭირთ ნიჭიერი, იმედის მომცემი სპორტსმენების დასახელება: ხ. ლომიძე, მ. ლომსაძე, გ. მამულაშვილი, თ. ხელაშვილი, მ. კვამზირაძე... ბევრნი არიან ისინი, ძალიან ბევრნი. სულ 80 ბავშვია ამ კლასში გაერთიანებული და ყველასი იმედი აქვთ მათს მწვრთნელებს. კლასი ვახსენეთ და ახლა კი განვმარტოთ რას ნიშნავს ეს. წლეულს იანვარში თბილისის 180-ე საშუალო სკოლის ბაზაზე შეიქმნა ტანვარჯიშის ცენტრალური სკოლის ფილიალი. ეს რიგით პირველი სპეციალიზებული კლასია რესპუბლიკაში. ეს ჩვენი ნორჩი ტანმოვარჯიშეების ნამდვილი სამჭედლოა.

სარვაზიანი, ხერხეულიძე და ხუბულავა ერთმანეთს არ აცლიდნენ, 180-ე საშუალო სკოლის დირექტორი რუსუდან გურგენაძე უთუოდ მოიხსენიეთო. დიახ, ეს შემთხვევითი არ არის, ქალბატონი რუსუდანი ყოველმხრივ ეხმარება სპორტსმენებს, რაც იმის უტყუარი ნიშანია, რომ მას უყვარს სპორტი, იცის მისი ფასი. აბა სხვაგვარად როგორ შეიძლება იყო სკოლის დირექტორი, მომავალი თაობის აღმზრდელი. ფიზკულტურა და სპორტი ხომ ჩვენი შთამომავლობის ფიზიკური და სულიერი წრთობის ერთ-ერთი უტყუარი საშუალებაა. სკოლის დირექციამ ნორჩებს კლუბი „არუქა" სავარჯიშოდ. ეს პატარა საქმე როდია. აი, ამისთვის ემადლიერებიან მას მწვრთნელებიცა და მათი აღსაზრდელებიც. ამ სურათებზე ნორჩი ტანმოვარჯიშეები ვარჯიშის დროს გადაიღო ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა მ. ზარგარიანმა. ერთ-ერთ მათგანზე 180-ე საშუალო სკოლის მეორეკლასელი მანანა ლომსაძეა აღბეჭდილი დვირზე ვარჯიშის დროს. დანარჩენები კი გულდასმით უყურებენ მეგობარს. ჯგუფურ სურათზე რობერტ სარვაზიანი ეხმარება პატარებს ტანვარჯიშის ხერხების დაუფლებაში.

რაიონებში სპორტსმენები

✦ გურჯაანი

გაიმართა შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 15 კოლექტივის 70-მდე სპორტსმენმა. I ადგილი ვაზისუბნის კოლმეურნეობის ფიზკულტურულმა კოლექტივმა მოიპოვა (გამგეობის თავმჯდომარე რ. მღებრიშვილი, ფიზკულტურის მეთოდისტი ჯ. კენჭაძე).

ზონაში გამარჯვებულნი

ფიზკულტურის კომიტეტის სპორტულ დარბაზში სამ დღეს გრძელდებოდა „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური ზონალური პირველობა ქართულ ჭიდაობაში სპორტის ეროვნული სახეობების სპარტაკიადის პროგრამით.

შეჯიბრებაში მონაწილეობდა 7 რაიონის 50-ზე მეტი მოჭიდავე. წონითი კატეგორიების მიხედვით ზონის ჩემპიონები გახდნენ: ს. ლიპარტელიანი (ლენტეხი), გ. იორდანიშვილი (წულუკიძე), ვ. თხელიძე (ორჯონიკიძე), თ. ონიანი (ლენტეხი), ჯ. ქაცარიძე (ზესტაფონი), ს.

ტრელია), ბ. მეშველიანი (ლენტეხი).

გუნდური პირველობა 16 საჯარიმო ქულით ლენტეხის მოჭიდავეებმა მოიპოვეს. II ადგილზე გავიდა სამტრედიის გუნდი, III — ზესტაფონის კოლექტივი.

შეჯიბრების დებულების თანახმად, ლენტეხისა და სამტრედიის სპორტსმენები, აგრეთვე, ზონალურ ტურნირში გამარჯვებული სხვა მოჭიდავეები მონაწილეობას მიიღებენ „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს პირველობის ფინალში.

ჯ. მაჭაკიძე.
(ჩვენი კორ.).

მეგობრობა გზად და ხიდად

საქართველოს წარგზავნილები ბამ-ის მშენებლობაზე

ნია-გრუზინსკაია... ასე ჰქვია დაბას და ბაიკალ-ამურის რკინიგზის მაგისტრალის ერთ-ერთ სადგურს, რომელსაც ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილები აშენებენ. იგი ბამ-ის დასავლეთ უბანზე, ულამაზეს ტაიგაში 102 კილომეტრზეა გადაჭიმული. სპეციალიზებული სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის „საქმშენბამის“ მშენებლები, რომელსაც წარსულში კარგი სპორტსმენი ანზორ დვალიშვილი ხელმძღვანელობს, აქ წლეულს აპრილში ჩამოვიდნენ. მანამდე ერთი თვით ადრე ვალერი რუხაიას ბრიგადამ, რომელშიც ყველაზე ღონიერი ბიჭები, ძირითადად სპორტსმენები შედიან, დაიწყო დაბისთვის ტერიტორიის მომზადება. იოლი სამუშაო არ იყო, მაგრამ ჯერ კიდევ შარშან დაბა ზვიოზდნის მშენებლობაზე შეძენილი გამოცდილება და წრთობა ძალიან დაეხმარა მეორეთანრიგოსან ფეხბურთელს ვალერი რუხაიას, მისი ბრიგადის წევრებს — სპორტის ოსტატობის კანდიდატს კრივში, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტს ნოდარ გუგულაშვილს, პირველთანრიგოსან ფეხბურთელს ვიაჩესლავ ზალეშჩუკსა და სხვებს. როცა ძირითადი დამკვრელური რაზმი ჩავიდა მშენებლობაზე, დაბისთვის ტერიტორია უკვე მზად იყო. და აი, სულ რაღაც ნახევარ წელიწადში შუაგულ ტაიგაში საქართველოდან წარგზავნილმა მშენებლებმა ააგეს ვერტოდრომი, საწყობები, ელექტროსადგური, სასადილო, საცხოვრებელი სახლები, მაღაზია. ახლა ნია-გრუზინსკაიაში შრომობს პატარა, 108-კაციანი რაზმი. იგი საცხოვრებელსა და „სამუშაო ფრონტს“ უმზადებს მშენებელთა დიდ ჯგუფს (300 კაცი), რომელიც გაისად გაზაფხულზე ჩავა საქართველოდან.

ვინ არიან ეს მამაცი ადამიანები, ვისაც რესპუბლიკამ დიდი სახელმწიფოებრივი საქმე ანდო? ესაა ფიზიკურად და სულიერად ნაწრთობი ხალხი, უმეტესად ახალგაზრდობა, რომელსაც გავლილი აქვს არმიული სამსახური, უმუშავია საქართველოს სხვადასხვა მშენებლობაზე. გასაკვირი როდია, რომ მათ შორის ბევრი სპორტსმენია. ჩვენ უკვე ვახსენეთ „საქმშენბამის“ უფროსი ანზორ დვალიშვილი — წარსულში საუცხოო მძლეოსანი და ფრენბურთელი. მძლეოსნობის მოყვარულებისთვის კარგადაა ცნობილი მისი მოადგილის, სპორტის ოსტატის, შუბის მტყორცნელ ნუგზარ მგელაძის სახელიც. ნუგზარი საქართველოს, აგრეთვე, „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობათა მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორია. მისი საუკეთესო შედეგია 74 მ, 80 სმ.

ნია-გრუზინსკაიაში სახელოვნად შრომობენ სპორტის ოსტატი ძალოსნობაში, ქუთაისელი გულადი შეყილაძე, პირველთანრიგოსნები — მოკრივე ვახტანგ ჩოკური, ფეხბურთელი გია ჩემინავა, კალათბურთელი მურმან ჩემია, მოჭადრაკე ბაკურ გურგენიძე, მოცურავე და მთამსვლელი ნიკოლოზ აპლაკოვი, ფრენბურთელი ნიკოლოზ მარეევი; მეორეთანრიგოსნები გიორგი ავეტისიანი, ვაჟა აფციაური, მიხეილ კიკალაშვილი, ზურაბ აბულაძე, გიორგი ჭავჭანიძე, ზურაბ როხვაძე და სხვები.

მკაცრია ციმბირი, რთულია იქაური სამუშაო პირობები, მაგრამ ახალგაზრდობას უსპორტოდ ცხოვრება მაინც არ შეუძლია. „საქმშენბამის“ ხელმძღვანელობა ყოველმხრივ ხელს უწყობს მათს გატაცებას. ნია-გრუზინსკაიაში შექმნილია ფიზკულტურის კოლექტივის საბჭო, რომელსაც საზოგადოებრივ საწყისებზე ხელმძღვანელობს სპორტის ოსტატობის კანდიდატი ნოდარ გუგულაშვილი (საბჭოში შედიან, აგრეთვე, ვ. ზალეშჩუკი, ვ. აფციაური, ნ. ქველაძე, გ. შეყილაძე). ბიჭებმა თვითონ მოაწყვეს ფრენბურთის მოედანი, დადგეს ფეხბურთის კარები, ჩოგბურთის მაგიდები, ღერძი, გააკეთეს სახტომი ორმო. სტადიონად იყენებენ ვერტოდრომის მოედანს, სადაც საღამოობით და კვირა დღეებში მინი-ფეხბურთში ტარდება შეჯიბრებები.

საერთოდ, ფეხბურთი ბამელთა საყვარელი სახეობაა. ნია-გრუზინსკაიაში შექმნილია რამდენიმე გუნდი, მათ შორის ერთი... ქალთა. ქალებს უფლება აქვთ გამარტივებული წესებით ითამაშონ, ესე იგი, ფეხიც გამოსდონ თამაშის დროს ერთმანეთს, იდაყვიც გაჰკრან და ხანდახან ბურთი... ხელითაც შეაგდონ.

ახლა ნია-გრუზინსკაიას პირველი ჩემპიონატი ფეხბურთში დასასრულს უახლოვდება. დაბის ფეხბურთელებს უკვე „საერთაშორისო“ მატჩიც აქვთ ჩატარებული: ისინი იყვნენ ზვიოზდნიში, სადაც ამხანაგურ მატჩში ანგარიშით 7:2 დაამარცხეს ინტერნაციონალური გუნდი. ამ გუნდში შედიოდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სტუდენტები, რომლებმაც არდადეგების პერიოდი ბამ-ის მშენებლობას მოახმარეს. იქვე მოჭადრაკეთა ტურნირში I ადგილი დაიკავა ბაკურ გურგენიძემ. საუკეთესო სპორტსმენები იყვნენ უსტ-კუტშიც, სადაც მშდ კომპლექსის მრავალჭიდში იასპარეზეს. ახლახან ნია-გრუზინსკაიას სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს ბამ-ის დასავლეთ უბნის მშენებელთა პირველ სპარტაკიადაში, რომელიც დაბა ულკანში ჩატარდა.

ყალიბდება კრივის, ჭადრაკის, მაგიდის ჩოგბურთის სექციები.

მშენებლებს სპორტული ინვენტარი და ფორმები არ აკლიათ.

დიდი გეგმები აქვს ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს. მალე ხანგრძლივი, ციმბირული ზამთარი დაიწყება და აქცენტი ძირითადად ზამთრის სახეობებზე იქნება გადატანილი. განზრახული აქვთ საციგურაოს მოწყობა. უნდათ პატარა ოთახი გააკეთონ სამთომთხილამურეებისთვის. რაც შეეხება უფრო შორეულ გეგმებს, სპორტდარბაზის აგებასაც აპირებენ. ეჭვი არ გვეპარება, რომ ყველაფერი განზრახული შესრულდება. ამას გვაფიქრებინებს საქართველოს წარგზავნილთა მარჯვენით უკვე აგებული ობიექტები.

ზ. ქვათაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).
ნია-გრუზინსკაია — თბილისი.

* * *

სურათებზე: საერთო საცხოვრებლის მშენებლობაზე; ნია-გრუზინსკაიაში ყველაზე ხნიერია 67 წლის ბუღალტერი ვ. კირვალიძე (მარჯვნივ), ფეხბურთის თავგამოდებული მოყვარული (იგი ფეხბურთელთა გუნდ „ინტერში“ თამაშობს), ყველაზე უმცროსი — მერვეკლასელი ზ. ურუშაძე (იგი ცურვითა და ნიჩბოსნობითაა გატაცებული); პირველთანრიგოსანი მოჭადრაკე ბაკურ გურგენიძე მუშაობის დროს; სპორტის ოსტატობის კანდიდატი კრივში ნოდარ გუგულაშვილი. იგი ხელმძღვანელობს ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობას ნია-გრუზინსკაიაში; აფიშა მზადაა; ფეხბურთელ გოგონათა გუნდი „ანტრეკოტი“; ბრიგადირი ვალერი რუხაია მაგიდის ჩოგბურთის თამაშის დროს.

ავტორის ფოტოები.





ფეხბურთი '75

სსრ კავშირის პირველობა

[illegible]

ოდესა, 12 სექტემბერი. საკავშირო ჩემპიონატის მორიგ მატჩში ადგილობრივმა „ჩერნომორეცმა" ფრედ ითამაშა ერევნის „არარატთან" — 1:1. ანგარიში ერთ-ერთი კონტრშეტევისას გახსნა ერევნელმა ნ. პეტროსიანმა. ოდესელები ბევრს ეცადნენ, მაგრამ მხოლოდ საფინალო სასტვენამდე 6 წუთით ადრე შეძლეს თანაფარდობის აღდგენა, როცა მეკარე აბრამიანის შეცდომა კარგად გამოიყენა „ჩერნომორეცის" მცველმა რიბაკმა.

უმაღლესი ლიგა

მატჩი ლენინგრადში

ლენინგრადი. ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონი. 13 სექტემბერი.

„ზენიტი" (ლენინგრადი) — „დინამო" (თბილისი) 2:0 (1:0).

„ზენიტი": ოლეინიკი, სუხარევი, დავიდოვი, გოლუბევი, ბულავინი, სადირინი, სტრეპეტოვი (კაზაჩონოკი), მაშინი, გრებენიუკი, მარკინი, ხრომჩენკოვი (ნიკოლაევი).

„დინამო": გოგია, ძოძუაშვილი, ჩელიძე, ებრალიძე, ხიზანიშვილი, ქორიძე, მ. მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი, გ. მაჩაიძე (რეხვიაშვილი), ყიფიანი.

მსაჯი ვ. რუდნევი (მოსკოვი).

დუბლიორები — 0:3.

პირველ ტაიმში თბილისელები აშკარად ჩამორჩებოდნენ „ზენიტს" სისწრაფეში, ენერგიულობაში. მასპინძლები ყველაფერს აკეთებდნენ საიმისოდ, რომ გაეუმჯობესებინათ თავიანთი არასახარბიელო მდგომარეობა სატურნირო ცხრილში, ხშირად უტევდნენ და ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს. გოლის გატანის შესაძლებლობა მათ საკმარისად ჰქონდათ, რომელთაგან გამოყენებული იქნა მხოლოდ ერთი: 41-ე წუთზე დავიდოვმა შორი მანძილიდან დაარტყა კარში, გოგიამ ვერ მოასწრო რეაგირება და ანგარიშიც გაიხსნა.

შესვენების შემდეგ ინიციატივას ერთხანს კვლავ „ზენიტი" ფლობდა, შემდეგ დინამოელებმა გააძლიერეს თამაში, მე-60 წუთზე რეხვიაშვილის დარტყმა ოდნავ აცდა კარს, შემდეგ სახიფათო მომენტები შექმნეს ასათიანმა, გუცაევმა, მ. მაჩაიძემ, კვლავ ასათიანმა.

ლენინგრადელებმა შეძლეს ამ იერიშების მოგერიება, 73-ე წუთზე კი საპასუხო შეტევა განავითარეს და გრებენიუკომ მეორე ბურთი გაგზავნა „დინამოს" კარში. ამ ანგარიშით ზენიტელებმა შეძლეს მატჩის მოგება.

[illegible]

ბათუმი

ქალაქის პირველობა კალათბურთში ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის ორ ჯგუფად ჩატარდა. პირველ ჯგუფში იმარჯვეს ბათუმის მანქანათსაშენებელი ქარხნის კალათბურთელებმა, მეორეში უძლიერესი იყო № 2655 ავტოსატრანსპორტო კოლონის კოლექტივი. გამარჯვებულთა შორის გაიმართა ფინალური მატჩი, რომელიც მანქანათმშენებლებმა მოიგეს.

ო. მურვანიძე.

(ჩვენი კორ.).

II ლიგა I ზონა

12 სექტემბერს გაიმართა მორიგი ტურის კალენდარული მატჩები, რომელთა შესახებაც ჩვენი კორესპონდენტები გვატყობინებენ:

„მეტალურგი" (რუსთავი) — „დილა" (გორი) 0:1

ინტერესი მატჩისადმი დიდი იყო. ადგილობრივ გულშემატკივართა გარდა, საკმაოდ ჩამოვიდნენ სტუმრები გორიდან, თბილისიდან და, უნდა ითქვას, მაყურებელმა იხილა საინტერესო, დაძაბული მომენტებით აღსავსე, შეუპოვარი ბრძოლა.

ორივე გუნდმა მაღალი ტემპი განავითარა პირველივე წუთებიდან. თამაში ახალი დაწყებული იყო, როცა მეკარეებს — ბერიძეს („დილა") და მელაძეს („მეტალურგი") მოუხდათ სახიფათო მომენტების მოგერიება.

დაახლოებით 30 წუთის მანძილზე ტერიტორიულ უპირატესობას მეტალურგები ფლობდნენ, მაგრამ სტუმრები ენერგიულად, ორგანიზებულად იცავდნენ თავს და საკმარისი იყო მცირე შესაძლებლობა, რომ ბურჯანაძესა და ბუზალაძეს ბურთის გატანის რეალური შანსი ექმნებოდათ. ერთ-ერთ მომენტში ბუზალაძე და მელაძე პირისპირ შერჩნენ ერთმანეთს, მაგრამ ფორვარდმა იჩქარა და ბურთის ზევიდან გადაგდების ნაცვლად პირდაპირ დაარტყა კარში. მეკარემ შეძლო მისი აღება.

კიდევ უფრო დაიძაბა თამაში შესვენების შემდეგ. ანგარიშის გახსნა შეეძლო რუსთაველთა ნახევარმცველს გოგუაძეს, მაგრამ „დილის" კარი პავგანწირული ნახტომით იხსნა ბერიძემ.

მატჩის ბედი გადაწყდა 62-ე წუთზე. გორელებმა მოაწოდეს კუთხური, საჯარიმო მოედანზე ყველას დაასწრო ბუზალაძემ და თავით ზუსტად დაარტყა კარში. მეტალურგების ყველა ცდას, რომ ეხსნათ თუნდაც ქულა, შედეგი არ მოჰყოლია. საინტერესო, შინაარსიანმა ორთაბრძოლამ დამსახურებული გამარჯვება მოუტანა გორელ ფეხბურთელებს. ეს რუსთაველთა პირველი დამარცხებაა საკუთარ მინდორზე.

რ. გაბრიჩიძე.

„დინამო" (ბათუმი) — „შირაკი" (ლენინაკანი) 3:1

პირველი 15 წუთის მანძილზე ვერც ერთმა მხარემ ვერ შეძლო უპირატესობის მოპოვება, მაგრამ შემდეგ ბათუმელმა ფეხბურთელებმა რამდენიმე მოფიქრებული კომბინაცია გაითამაშეს და თამაშმა „შირაკის" ნახევარზე გადაინაცვლა. ამ იერიშების დროს კარგი თამაშით გამოიჩინა თავი ლენინაკანელთა მეკარე ეპოიანმა, რომელმაც რამდენიმე ძალიან ძნელი ბურთი აიღო ჩელებაძის, გორგილაძისა და ქიქავასგან.

ანგარიში გაიხსნა 37-ე წუთზე, როცა სტუმრების საჯარიმო მოედანზე შესული ჩიტაური აკრძალული ილეთით წააქციეს მცველებმა. გორგილაძემ ზუსტად დაარტყა პენალტი — 1:0.

51-ე წუთზე გაგუას მიერ მარცხენა ფლანგიდან მოწოდებული საჯარიმო მოიგერია ეპოიანმა, ბურთთან სწრაფად გაჩნდა ქიქავა და ანგარიში გახდა 2:0.

მასპინძლების გამარჯვება თითქოს ეჭვს არ იწვევდა, მით უმეტეს, რომ იერიშები „შირაკის" კართან არ შეწყდარა, მაგრამ 65-ე წუთზე ერთ-ერთი კონტრიერიშისას ხაჩატურიანმა ძნელი მდგომარეობიდან შეძლო საპასუხო ბურთის გატანა და დინამოელები კვლავ დადგნენ თამაშის გაძლიერების აუცილებლობის წინაშე. გუნდმა მთელი ძალები წინ გადაისროლა, რამდენიმე სწრაფი იერიში განახორციელა და საბოლოოდ გამარჯვების განმტკიცებაც შეძლო: 88-ე წუთზე ესებუა — არუთინიანის კომბინაცია დამთავრდა „შირაკის" კარში გატანილი მესამე ბურთით!

ბათუმის „დინამომ" ბოლო 3 ტურში 6 ქულა აიღო. გატანილი და მიღებული ბურთების საუკეთესო სხვაობით 10—1.

ო. მურვანიძე.

„დინამო" (ზუგდიდი) — „ხაზარი" (სუმგაითი) 6:4

მატჩს დაესწრო წვიმიანი ამინდი და, ცხადია, შეცდომებიც საკმარისად იყო. ეს უნდა მივიჩნიოთ იმის მიზეზადაც, რომ შეხვედრა დამთავრდა საკმაოდ უჩვეულო, უხვგოლიანი ანგარიშით.

მიმდინარეობდა მე-5 წუთი, როცა ბატკოვის მიერ შორიდან დარტყმულმა ბურთმა მიზანს მიაღწია, რის შემდეგაც მასპინძლებს ანგარიშის გათანაბრებაზე მოუხდათ ფიქრი. მე-13 წუთზე ბურთი გაიტანა მათი გუნდის წევრმა ბერულავამ. შემდეგ გადელიამ წინ გაიყვანა „დინამო" და ტაიმის დასასრულამდე „ხაზარის" მეკარე ახმედოვს თითქმის არ ჰქონია მოსვენება.

55-ე წუთზე ჭითანავას დარტყმის შემდეგ ანგარიში გახდა 3:1, მაგრამ გავიდა მცირე ხანი და დინამოელებს თავად მოუხდათ თამაშის დაწყება ცენტრიდან ბახტიევის ძლიერი დარტყმის შემდეგ.

72-ე წუთზე ჭითანავა — თუთბერიძის კომბინაცია სუმგაითელთა კარში გატანილი მეოთხე გოლით დამთავრდა და ამის შემდეგ ანგარიში პროგრესულად იზრდებოდა: ჯერ ნურიევმა შეძლო სხვაობის შემცირება, შემდეგ გადელიამ წინ გაიყვანა „დინამო", პუჩკოვმა კვლავ დაიყვანა სხვაობა 1 ბურთამდე და საბოლოოდ გადელიამ წერტილი დაუსვა მატჩის ანგარიშს — 6:4.

ბ. ალშიბაია.

„ლოკომოტივი" (სამტრედია) — „პროგრესი" (კიროვაბადი) 4:2

მატჩი კიროვაბადელებთან მასპინძლებმა დაიწყეს სწრაფად, ტემპიანად. სანამ „პროგრესის" დაცვა გაერკვეოდა შექმნილ მდგომარეობაში, ჯერ მესიაჩენკომ, ხოლო შემდეგ ბახტაძემ ზედიზედ 2 ბურთი გაიტანეს.

ასეთი დასაწყისის მიუხედავად, სტუმრებმა არ დაყარეს ფარ-ხმალი და აბასოვმა მე-20 წუთზე საპასუხო ბურთი მოათავსა რკინიგზელთა კარში. ტაიმის დასასრულს კვლავ კარგად ითამაშა მესიაჩენკომ, რომელმაც მესამე გოლი გაიტანა „პროგრესის" კარში.

სამტრედიელები განაგრძობდნენ იერიშებს შესვენების შემდეგაც, ჩოგოხიძე — ბახტაძის სწრაფი კომბინაცია მეოთხე გოლით დამთავრდა. „ლოკომოტივმა", მიიჩნია რა საქმე მოთავებულად, მოუკლო ტემპს, რის შემდეგაც აბასოვს საშუალება მიეცა მეორე ბურთი გაეტანა მის კარში.

ა. ხირაძე.

„მერცხალი" (მახარაძე) — ფიზკ. ინსტ. (ერევანი) 3:0

როგორც ერევნის, ისე მახარაძის გუნდები გათამაშების ცხრილში აუტსაიდერთა შორის არიან. ამდენად, გამარჯვება ორივე მხარეს ესაჭიროებოდა, მაგრამ „მერცხლის" წინაშე სერიოზული ამოცანა დგას — საქართველოს გუნდებს შორის არ მოხვდეს ბოლო ადგილზე და არ დატოვოს II ლიგა. ამიტომ გუნდმა მთელი ძალით იბრძოლა წარმატების მოსაპოვებლად, ჯერ კიდევ შესვენებამდე შეეძლო ანგარიშის გახსნა, თუმცა ვერ მოახერხა ეს.

მეორე ტაიმში საგოლე პოზიციაში გასულ სართანიას უხეშად ეთამაშნენ სტუმრები, რის გამოც დაინიშნა პენალტი. ანგარიში გახსნა კაკალაძემ. შემდეგ, 65-ე წუთზე, ჩხარტიშვილმა დაახლოებით 30 მეტრის მანძილიდან მეორე ბურთი გაიტანა მეტოქის კარში, მალე კი კაკალაძემ ერევნელებს მესამედ დააწყებინა თამაში ცენტრიდან.

დარჩენილ დროში სტუდენტებმა შეძლეს რამდენიმე სახიფათო მომენტის შექმნა, მაგრამ „მერცხლის" მცველებმა და მეკარემ შეინარჩუნეს „მშრალი" ანგარიში.

ვ. შავიშვილი.

[illegible]

სსრ კავშირის ჩემპიონატი

კიდევ ორი შეხვედრა

მოსკოვის სტადიონებზე გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის XI ტურის ორი შეხვედრა და ორივეში აუტსაიდერები დამარცხდნენ: მოსკოვის „ავტომობილისტმა" სძლია მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდს — 31:15, ხოლო მოსკოვის საათების № 2 ქარხნის გუნდმა „სლავამ" მოუგო ლენინგრადის „ბურევესტნიკს" — 15:9.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 13 სექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ფილი"	10	9	0	1	212:68	18
სსა	11	8	0	3	174:84	16
„სლავა"	11	7	0	4	131:111	14
„ლოკ." (მ.)	10	6	1	3	89:75	13
„ავტომობ."	11	6	1	4	127:137	13
„სპარტაკი"	10	5	0	5	160:119	10
„ლოკ." (თბ.)	11	5	0	6	103:96	10
„ივერია"	10	5	0	5	77:102	10
„ბურევესტ."	11	1	0	10	66:153	2
მსი	11	0	0	11	88:262	0

სპორტლოტო

34-ე ტირაჟის შედეგები

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტლოტოს" და „სპორტლოტო-2"-ის მორიგი, 34-ე ტირაჟის შედეგები.

„სპორტლოტო": ექვსი ნომერი ვერავინ გამოიცნო. 5 ნომრისა და სახეობის გამოცნობისთვის მოგება 4150 მანეთია (61 ბილეთი), ოთხისთვის — 83 (3836), სამისთვის — 3 (88334).

„სპორტლოტო-2": ექვსი ნომერი და სახეობა ვერავინ გამოიცნო. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 3777 მანეთია (27 ბილეთი), ოთხისთვის — 68 (1833), სამისთვის — 3 (36102).

მოგებული თანხა გაიცემა 21 სექტემბრიდან 21 ოქტომბრის ჩათვლით. (საქინფორმი).

ბოლო ნახტომმა გადაწყვიტა

ერევანი, 12 სექტემბერი. აქ დამთავრდა სსრ კავშირის თასის გათამაშება წყალში ხტომაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადისა და მოკავშირე რესპუბლიკების უძლიერესი სპორტსმენი ვაჟები.

ტრამპლინიდან ხტომაში ბოლო ვარჯიშამდე გაურკვეველი იყო, ვინ მოიპოვებდა უძლიერესის სახელს. მოსკოველმა ბ. კოზლოვმა და ერევნელმა დ. ამბარცუმიანმა ჩინებული ოსტატობა გამოავლინეს და თითქმის თანაბარი ქულები დაუგროვდათ ბოლო ნახტომის წინ. აქ იმარჯვა მოსკოველმა და მოიპოვა კიდეც სსრ კავშირის თასი. მესამე შედეგი ჰქონდა ვოლგოგრადელ ვ. კაპიროულინს.

კოშკიდან ხტომაში გაიმარჯვა სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის ჩემპიონმა ამბარცუმიანმა. მეორე იყო მისი თანაგუნდელი რ. ბაღდადიანი, მესამე — ა. კუზნეცოვი (ვოლგოგრადი).

ეს რა მასპინძლობაა!

ანუ რამდენიმე შენიშვნა უნგრეთ-საქართველოს ძიუდოისტთა მატჩის გამო

ისინი ცალ-ცალკე მოვიდნენ რედაქციაში, მაგრამ ერთი სურვილი ამოძრავებდათ: დეტალურად ეამბნათ ყველაფერი, რამაც სამივე აღაშფოთა და აალელვა. ყველაზე მეტად გაცხარებული იყო ჩვენი სახელმოხვეჭილი ძიუდოისტი, ამჟამად საქართველოს ჭაბუკთა და ახალგაზრდული ნაკრების უფროსი მწვრთნელი ა. მარტყოფლიშვილი. მას კვერს უკრავდნენ ჟურნალისტი და სპორტის ოსტატი ო. კუსიანი და „ლელოს" რუსთაველი კორესპონდენტი რ. გაბრიჩიძე.

ის, რაც მათი ნაამბობიდან შევიტყვეთ, მართლაც მოულოდნელი და გულდასაწყვეტი იყო. შერცხვა ქართული სტუმარ-მასპინძლობის კეთილი სახელი. რუსთავის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა და ქალაქის სპორტკომიტეტმა (თავმჯდომარე ო. ჯებაშვილი) ელემენტარული მასპინძლობა ვერ გაუწიეს უნგრეთიდან ჩამოსულ ძიუდოისტებს და საერთაშორისო მატჩი ჩაატარეს ისე უხარისხოდ, ისე დაბალ დონეზე, რომ მსგავსი ორგანიზაცია რაიონულ შეჯიბრებასაც არ ეკადრებოდა.

ა. მარტყოფლიშვილი: „წლეულს ივლისში სტუმრად ვიყავით უნგრეთში. ჩვენი მასპინძელი იყო პატარა სამრეწველო ქალაქი მიშკოლცი. უნგრელებმა ისე კარგად მიგვიღეს, რომ ეს შეხვედრა დიდხანს გვემახსოვრება. საქმე მარტო ის როდია, რომ ჩაატარეს შეჯიბრება და უსათუოდ გაიმარჯვო. ასეთი სახის ტურნირები, პირველ ყოვლისა, ხელს უწყობს სპორტსმენთა დაახლოებას, დამეგობრებას. ჩვენ, მაგალითად, მიშკოლცში ბევრი მეგობარი და თანამოაზრე შევიძინეთ. ისინი ერთი წუთითაც არ გვაკლდნენ ყურადღებას, ზრუნვას და. როცა მათი საპასუხო ვიზიტის ამბავი შევიტყვეთ, გადავწყვიტეთ სტუმრები მიგვეღო ჩვენს სამრეწველო ქალაქ რუსთავში".

რუსთავი დიდად განებივრებული როდია საერთაშორისო შეჯიბრებებითა და შეხვედრებით. ამიტომ სავსებით მოსალოდნელი იყო, რომ ადგილობრივი სპორტული ორგანიზაციები ღირსეულად დახვდებოდნენ ქიდაობაში პირველი საერთაშორისო შეჯიბრების ორგანიზატორებს. სამწუხაროდ, ჩვენი მოლოდინი ოდნავაც არ გამართლდა.

ო. კუსიანი: „შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ვესაუბრე ერთ-ერთ მაყურებელს, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მოწინავე მეფოლადეს თავართქილაძეს. აი რა თქვა მან: „მიყვარს სპორტი, განსაკუთრებით ჭიდაობა. მინდა, რომ ქართველი სპორტსმენები წარმატებას აღწევდნენ ყველა შეჯიბრებაში. გავიგე, რომ დღეს თეატრში ძიუდოისტთა შეჯიბრება ტარდებოდა. სამუშაოს დამთავრების შემდეგ მეფოლადეები თეატრის შენობისკენ გავეშურეთ, მაგრამ ისეთი კმაყოფილება ვერ მივიღეთ, როგორსაც ველოდით. სამწუხაროა, რომ ჩვენი ქალაქის სპორტის მესვეურებმა ასეთი ცუდი მასპინძლობა გაუწიეს უნგრელ სტუმრებს. რას იტყვიან ისინი, სამშობლოში რომ ჩავლენ?!"

ორიოდე სიტყვა თვით შეჯიბრების ორგანიზაციაზე. მიკროფონი ზედ შეხვედრების დაწყების წინ მოიტანეს დარბაზში ა. მარტყოფლიშვილის დაჟინებითი მოთხოვნის შემდეგ. შეჯიბრება დაიწყო ისე, რომ ექიმი არ ყოფილა. მეორე წყვილის შეხვედრისას ერთ-ერთი უნგრელი ძიუდოისტი დაშავდა — ცხვირიდან სისხლი წასკდა. საჭირო გახდა სასწრაფო დახმარების მანქანის გამოძახება, მანამდე კი, მთელი 20 წუთის მანძილზე, დაშავებული სპორტსმენი გულაღმა იწვა ლეიბზე (!). სასწრაფო დახმარების ექიმებს აღმოაჩნდათ მხოლოდ... ბამბა. შეჯიბრების დამთავრების შემდეგ სტუმრებმა ცხელი შხაპი მოიკითხეს. ცხადია, ცხელი კი არა, ცივი წყალიც არსად იყო. უნგრელები თბილისში წაიყვანეს შხაპის მისაღებად.

ამ ორგანიზაციულ ლაფსუსებს, ვფიქრობთ, კომენტარი არც სჭირდება.

რ. გაბრიჩიძე: „მასპინძლები — საქართველოს ძიუდოისტები — ორ-ორი გუნდით ასპარეზობდნენ. საქართველოს ჭაბუკთა პირველმა ნაკრებმა გაიმარჯვა ანგარიშით 3:1, მეორე ნაკრებმა კი — 3:2. ახალგაზრდებში უპირატესობა სტუმრების მხარეს იყო: პირველმა ნაკრებმა ფრედ დაამთავრა ორთაბრძოლა (2:2), მეორემ კი გაიმარჯვა (4:1). საინტერესოა ითქვას, რომ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრები ორ თვეს არდადეგებზე იყვნენ და მხოლოდ შეჯიბრების წინ ჩაატარეს რამდენიმე ვარჯიში".

„პროფესორ" ეტაილის ძალოსნური სკოლა

ზოგიერთი ამტკიცებს, ეგვიპტური პირამიდების მშენებლები მსოფლიოში პირველი ძალოსნები იყვნენო. მართლაც, ამ მონუმენტურ ნაგებობათა მშენებლობის დროს ჩამოყალიბდა პირამიდების ზედა სართულებზე ყველაზე მძიმე ლოდების ატანის „სპეციალისტთა" ცალკე ჯგუფი. მაგრამ შეიძლება თუ არა ეს სპორტული დისციპლინის საწყისად მივიჩნიოთ? იქნებ უფრო ადრე, პირველყოფილ ხანაშიც იყო კუნთების ძალის სიდიადის ასეთივე დამაჯერებელი მაგალითები? ძველი ელინური მითების გმირის ჰერკულესის ზღაპრულ მიღწევებს ცოტა რამ აქვს საერთო თანამედროვე სიმძიმეების აწევასთან, მაგრამ ამას სულაც არ შეუშლია ხელი თანამედროვე ჩემპიონებისთვის, რომ თავიანთს გერბზე სწორედ ჰერკულესი გამოესახათ.

სპორტის ისტორიკოსთა დიდი უმეტესობა იმ აზრისაა, რომ თანამედროვე სიმძიმეების აწევა სპორტული დისციპლინის სახით ინგლისში ჩაისახა. XVIII საუკუნეში გამოჩნდნენ პირველი პროფესიონალი ათლეტები, რომლებიც ცირკის სარბიელზე უჩვენებდნენ მაყურებელს თავიანთი კუნთების ძალას. იმ ხანად პოპულარული იყო ჯვარედინი თუჯის ღეროთი შეერთებული ორი თუჯის ბურთით ვარჯიში. იმდროინდელ ძალოსანთა ვარჯიშს კიდევ შეიძლება სპორტი ეწოდოს.

ასი წლისა და მეტი ხნის წინათ ინგლისში გახმაურდა შტანგის აწევაში პირველი მსოფლიო რეკორდსმენის გვარი (მართალია, შტანგა იყო ისევ ის თუჯის ბურთები, მაგრამ ვუწოდოთ მას თანამედროვე სახელი). ჩემპიონი იყო ბილ კურტისი. 1850-60 წლებში მას ბადალი არ ჰყავდა მსოფლიოში. იმ პერიოდში ლონდონში ჩამოყალიბდა ათლეტთა პირველი სკოლა. „პროფესორი" ეტაილი მომავალ ცირკის ძალოსნებს ამზადებდა, რომლებსაც სკოლის კედლებიდან გამოსვლის შემდეგ თავიანთი სასწავლებლის სალაროში შეჰქონდათ მიღებული შემოსავლის საკმაოდ მნიშვნელოვანი პროცენტი. ეტაილის სკოლის აღზრდილთა შორის იყო იუჯინ სენდოუც. პირველ მეცადინეობებზე მასწავლებელმა დალეულ ბიჭს მოსთხოვა დაეტოვებინა მისი დაწესებულება. „ეს თამაში საშენო არ არის, შვილო", — თქვა მან და სენდოუს მის ჩავარდნილ მკერდზე მიუთითა. მაგრამ სენდოუ არ დაეთანხმა მასწავლებლის აზრს. იგი შეუპოვრად ვარჯიშობდა, რათა მკაცრ „პროფესორს" მისთვის სხვა თვალით შეეხედა. სენდოუმ მოიგონა დამოუკიდებელი ვარჯიშისთვის დამხმარე სიმძიმეები — ჰანტელები, რაც დღესაც იხმარება ყველგან. პატივმოყვარე იუჯინი ისე შეუპოვრად ვარჯიშობდა, რომ მისი კუნთები მალე საყოველთაო აღტაცებას იწვევდა. „პროფესორმა" ეტაილმა აზრი შეიცვალა და სენდოუ სკოლაში მიიღო.

სიმძიმეების აწევაში მაშინდელი რეკორდების გახსენებას დღეს დიდი მნიშვნელობა არა აქვს. საცირკო წარმოდგენების დროს გამოყენებული იყო დაძლეული სიმძიმეების გაზრდის ყოველგვარი „მეთოდები". 1894 წელს ვენაში მოეწყო მსოფლიო პირველობა მოყვარულთა შორის. ვინაიდან იმ დროს წონითი კატეგორიები ჯერ კიდევ არ არსებობდა, არ ვიცით, რამდენს იწონიდა პირველი მსოფლიო ჩემპიონი, ავსტრიელი ვილი ტურკი. პირველწყაროები არაფერს იუწყებიან მის მიერ მოპოვებულ შედეგებზე. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ჩემპიონობის ბედს წყვეტდა ათი (!) ვარჯიშის მაჩვენებლები. შეჯიბრება ორ დღეს გრძელდებოდა (!). ერთი სიტყვით, მაშინდელ ათლეტებს ძალა, როგორც იტყვიან, საკმარისზე მეტიც უნდა ჰქონოდათ.

გაზეთ „შტანდარ მლოდიხიდან" (პოლონეთი).

თარგმნა ა. გერშტენბლიტმა.

სახანძრო-გამოყენებითმა სპორტმა კარგა ხანია „მოქალაქეობრიობა" მოიპოვა. ახლა ამ სახეობაში სისტემატურად ეწყობა რესპუბლიკური და საკავშირო ჩემპიონატები, საერთაშორისო შეხვედრები, რომლებშიც მოხალისე მეხანძრეები ერთმანეთს ეჯიბრებიან წინაღობათა ზოლის გადალახვაში, ცეცხლის ჩაქრობაში, გასაშლელი კიბით სასწავლო კოშკის სხვადასხვა სართულის ფანჯარაში გადასვლაში.

საქართველოს მეხანძრე-სპორტსმენებს მდიდარი ტრადიციები აქვთ. ისინი საკავშირო შეჯიბრებებში ბევრჯერ წარმატებით გამოსულან და სსრ კავშირის ნაკრების ღირსებასაც იცავდნენ. ამიტომ იყო, რომ ამას წინათ თბილისში გამართულ ღია რესპუბლიკურ პირველობას, რომელშიც სსრ კავშირის უძლიერესი მეხანძრეები მონაწილეობდნენ, დიდძალი მაყურებელი დაესწრო.

• • •

სურათებზე: შეჯიბრების მომენტები. ზევით — ასპარეზობა გასაშლელი კიბით სასწავლო კოშკის IV სართულზე ასვლაში; ქვევით — წინაღობათა ზოლის გადალახვა.

თ. გელაშვილის ფოტოები.

მხოლოდ 5 სპორტსმენი...

ნიუ იორკი, 13 სექტემბერი. აშშ-ს მხოლოდ 5 ძალოსანი მიიღებს მონაწილეობას მოსკოვის მსოფლიო ჩემპიონატში. ესენი არიან: დ. კენტორი (მსუბუქი წონა), ჯ. ლი (საშუალო), ფ. გრიპალდი (ქვემძიმე), მ. კემერონი (მძიმე) და დებიუტანტი, ყოფილი ბირთვის მკვრელი ბ. უილჰელმი (ზემძიმე).

როგორც ყოველთვის, აშშ-ს ნაკრებს მეთაურობს ამ ქვეყნის ძალოსნობის ცნობილი ექსპერტი ბ. ჰოფმანი.

2:2, 2,5:1,5

მილანი, 13 სექტემბერი. საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში III ადგილისთვის მატჩის მეოთხე პარტიაში მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ტ. პეტროსიანმა წაიფორხილა. შავებით მოთამაშე საბჭოთა დიდოსტატმა ერთგვარად გადაჭარბებით შეაფასა თავისი პოზიცია და იუგოსლაველ ლ. ლიუბოევიჩს საშუალება მისცა აქტიური თამაში დაეწყო. მახვილგონივრული დაცვით პეტროსიანმა კინაღამ გაათანაბრა მდგომარეობა, მაგრამ ბოლოს, 47-ე სვლაზე, იძულებული გახდა ამ შეჯიბრებაში პირველად ეცნო თავი დამარცხებულად.

ამრიგად, ამ მატჩში ანგარიში გახდა 2:2.

მთავარი პრიზისთვის ბრძოლაში კი მსოფლიოს ჩემპიონი ა. კარპოვი უგებს უნგრელ დიდოსტატს ლ. პორტიშს — 2,5:1,5. მათი მეოთხე პარტია 26-ე სვლაზე ყაიმით დამთავრდა, მას შემდეგ, რაც მეტოქეებმა სწრაფად გაითამაშეს ესპანური პარტიის ერთ-ერთი პოპულარული ვარიანტი და უნგრელმა დიდოსტატმა შავებით თანაბარ პოზიციას მიაღწია.

13 და 14 სექტემბერს გაიმართება ტურნირის ბოლო ორი პარტია.

დაუმარცხებლად

ოდესა, 12 სექტემბერი. რუსულ შაშში XIX საკავშირო ჩემპიონატში გაიმარჯვა მინსკელმა ე. სორკინამ, რომელმაც 9 ქულა დააგროვა, თანაც ტურნირი დაუმარცხებლად განვლო.

8-8 ქულა დააგროვეს რ. გავარინამ (მოსკოვი) და ა. ლაზარენკომ (კიევი). კოეფიციენტთა ცხრილით, II ადგილი გაგარინას ხვდა.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

ოჯახური უპირატესობა

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ბადმინტონისტებმა — ძმებმა ედგარ და ერფრიდ მიხაილოვსკებმა პირველი 2 ადგილი დაიკავეს თავიანთი ქვეყნის ჩემპიონატში. ამის შემდეგ ისინი ჩემპიონები გახდნენ წყვილთა თამაშშიც, მერე ერფრიდმა თავის მეუღლე ანგელასთან ერთად შერეულ წყვილებშიც მოიპოვა ჩემპიონობა და II ადგილზე დატოვა თავისი ძმა და მისი მეუღლე ცირატი.

ერთი სიტყვით, ბადმინტონისტთა ამ ოჯახმა, რომელიც გრაიფსვალდის „აინტრახტის" სახელს იცავს, მხოლოდ ერთი ოქროს მედალი დაკარგა.

სიმაღლე და კონტრაქტი

15 წლის გრეჰემ ფეტი 3 წლის წინ გამოცხადდა ინგლისის საფეხბურთო კლუბ „ჩარლტონ ატლეტიკში" და მოითხოვა მეკარის როლში გამოეცადეთ. მან გამოცდა კარგად ჩააბარა, მაგრამ მწვრთნელმა კონტრაქტი მაინც არ დადო: „ძალიან პატარა ხარ სიმაღლით, გაიზარდე და შემდეგ მოდი".

17 წლის ფეტი 179 სმ სიმაღლისა იყო და იგი მიიღეს გუნდში, მაგრამ გავიდა კიდევ ერთი წელი და ჭაბუკმა 2 მეტრს გადააცილა. ამჯერად მეკარეს განუცხადეს, რომ იგი ძალიან მაღალია, თანაც ჯერ კიდევ განაგრძობს ზრდას.

ჩემპიონატები, თასები, ტურნირები

ოსლო. XVI ტურში კრისტიანსანდის „შტარტთან" ანგარიშით 1:0 მოგებული მატჩის შემდეგ ნორვეგიის ჩემპიონატში მეტოქეებს 3 ქულით წინ უსწრებს სტავანგერის „ვიკინგი".

პრაღა. ეროვნულ ჩემპიონატში ლიდერია ბრატისლავის „სლოვანი" — 7 ქულა. მას 1 ქულით ჩამორჩებიან პრაღის „სლავია" და „დუკლა", აგრეთვე, კოშიცისა და ჟილინის გუნდები.

სოფია. 5-5 ქულა აქვთ ბულგარეთის პირველობის ლიდერებს — პლოვდივის „ლოკომოტივს" და სოფიის „სლავიას".

ბელგრადი. იუგოსლავიის ჩემპიონატში 8 ქულით დაწინაურდა „ცრვენა ზვეზდა". ბელგრადის ოფკ მას ჩამორჩება 2 ქულით.

ბონი. მიონჰენგლადბახის „ბორუსიამ" განვლილ ტურში ანგარიშით 3:1 დაამარცხა ესენის „როტვაისი", ხოლო ბრაუნშვაიგის „აინტრახტმა" — ბრემენის „ვერდერი" — 3:2. სწორედ ეს ორი გუნდია ახლა წინ გფრ-ის ჩემპიონატში.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

მოწამვლის შედეგად

სტოკჰოლმში 46 წლის ასაკში გარდაიცვალა წარსულში კარგად ცნობილი შვედი თავდამსხმელი ლ. სკოგლუნდი. როგორც ექიმებმა დაადასტურეს, სკოგლუნდი დაიღუპა მწვავე ალკოჰოლური მოწამვლის შედეგად.

შვეციის ნაკრების მარცხენა გარემარბი სკოგლუნდი დიდი წარმატებით მონაწილეობდა მსოფლიოს 1958 წლის ჩემპიონატში, როცა მსოფლიოს სიმბოლურ ნაკრებშიც მოხვდა. წლების განმავლობაში სკოგლუნდი თამაშობდა იტალიის სხვადასხვა კლუბში, სადაც ახლა მისი ორი ვაჟი გამოდის.

ნაკრები ახლიდან შეიქმნა

როგორც ავსტრალიური პრესა იუწყება, ამ ქვეყნის ნაკრები მთლიანად გარდაიქმნა. მას ახლა თითქმის არაფერი აქვს საერთო იმ გუნდთან, რომელიც შარშან გამოდიოდა მსოფლიო ჩემპიონატში.

ავსტრალიის ნაკრებს მომავალი მსოფლიო პირველობის წინ პერსპექტიული გეგმა აქვს შედგენილი საწვრთნელი შეკრებებით და მრავალრიცხოვანი გასტროლებით. ამ დღეებში მან სიდნეიში მიიღო პორტუგალიის მრავალგზის ჩემპიონი „ბენფიკა" და ფრედ ითამაშა — 2:2. მასპინძელთაგან ორივე ბურთი გაიტანა ბულიევიჩმა, პორტუგალიელთაგან — ნენემ და ბატისტამ.

არგენტინელები ევროპაში

როგორც ბუენოს-აირესში გამოცხადდა, სექტემბრის მეორე ნახევარში ევროპაში გასტროლებს დაიწყებს არგენტინის ნაკრები. გუნდის ხელმძღვანელობის ცნობით, არგენტინელები შეხვდებიან ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, პორტუგალიის ნაკრებ გუნდებს და გფრ-ის საკლუბო კოლექტივებს.

ეს არგენტინელთა სამზადისის ერთ-ერთი ეტაპია მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის წინ.

ფიფა-ს მონაცემებით

როგორც ფიფა-ს ბიულეტენი იუწყება, მსოფლიოში უდიდესი კლუბი ამჟამად დასავლეთ ბერლინის „ჰერტაა". ამ კლუბს 63 გუნდი ჰყავს, რომლებიც სხვადასხვა შეჯიბრებაში გამოდიან: ოსტატთა 4, ვეტერანთა 3 გუნდი, 10 სამოყვარულო და 46 ახალგაზრდათა და ჭაბუკთა კოლექტივი.

ჰერსტი — II ლიგაში

განთქმული ინგლისელი თავდამსხმელი ჯ. ჰერსტი, რომელმაც თავი გამოიჩინა მსოფლიოს 1966 წლის ჩემპიონატში და დიდ ხანს ნაკრების წამყვანი მოთამაშე იყო, ახლა უწინდელის აჩრდილია.

ამ დღეებში იგი „სტოკ სიტიმ" დაუთმო II ლიგის კლუბს „ვესტ ბრომვიჩ ალბიონს".

თბილისის სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. დღეს: „ლოკომოტივის" სტადიონი, პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „მალაროელი" (ჭიათურა). დასაწყისი 13 ს.

რეგბი. „ლოკომოტივის" სტადიონი. დღეს. სსრ კავშირის ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. „ლოკომოტივი" (თბილისი) — „ავტომობილისტი" (მოსკოვი). დასაწყისი 17 ს.

ჩოხატაურის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი და „კოლმეურნის" რაისაბჭო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ლელობურთის ერთ-ერთი აქტიური პოპულარიზატორი, საქართველოს სსრ სპორტის ოსტატი ამ სახეობაში

გედეონ (გელო) გიორგის ძე ჭაყელი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.
რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 93-97-51; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: მასობრივ-ფიზ. კულტურული — 93-97-55, სპორტული — 99-56-47 93-97-53, ფეხბურთის — 99-81-71 93-97-56, სასწავლო და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-57, [illegible] — 93-97-51, წერილების — 93-97-54; მეჩანქანეთა ბიურო — 93-97-59; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; გამომშვები — 93-93-81; კორექტორები — 93-97-49

ИНДЕКС 68418 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 03998